შესაგებელი
ადმინისტრაციულ საქმეზე

თბილისის საქალაქო
სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა კოლეგიას

14.10.18
4
ეჯამი 204978997

საქმე №3/5205-18

ა(ა)იპ - მწვანე ალტერნატივა
მოსარჩელის სახელი, გვარი (სახელწოდება)

თამარ მეშველიანი
მოსამართლის სახელი და გვარი

მოპასუხე: *შენიშვნა-1*

საქართველოს გარემოს დაცვისა
და სოფლის მეურნეობის
სამინისტრო
სახელი, გვარი (სახელწოდება)

თბილისი, მარშალ გელოვანის №6
პირადი (საიდენ.) ნომერი ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი)

ალტერნატიული მისამართი *შენიშვნა-2*

სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ. სამსახურის ტელ. მობილური ფაქსი ელექტრონული ფოსტა

მოპასუხის წარმომადგენელი: *შენიშვნა-3*

დავით დამენია
ნატო მაჭარაშვილი
სახელი, გვარი, ადვოკატის სიითი ნომერი

მარშალ გელოვანის №6
მარშალ გელოვანის №6
პირადი ნომერი ძირითადი მისამართი

ალტერნატიული მისამართი

სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

598598577
სახლის ტელ. სამსახურის ტელ. მობილური ფაქსი ელექტრონული ფოსტა

საკონტაქტო პირი: *შენიშვნა-4*

დავით დამენია
სახელი, გვარი

598598577
სახლის ტელ. მობილური

david.damenia@moa.gov.ge
ელექტრონული ფოსტა

შენიშვნა-5

ვალდებული ხართ თქვენი შესაგებელი სარჩელსა და მასში დასმულ საკითხებზე, აგრეთვე, თქვენი მოსაზრებები სარჩელისათვის თანდართული საბუთების შესახებ სასამართლოს წარუდგინოთ სარჩელისა და თანდართული საბუთების ასლების მიღებიდან სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში, რომლის გაგრძელება დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს საპატიო მიზეზი.

ფორმასთან დაკავშირებით კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომერზე (995 32) 227-31-00 ან მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მისამართზე: forms@hcoj.gov.ge

სანიმუშო ფორმა შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.hcoj.gov.ge

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
№ 9010/01
"15" 10 2018
9/2 ფ
03

სასამართლოში დასაბარებელ პირთა სია

სახით:

დასაბარებელი პირის სტატუსი *შენიშვნა-6*

სახელი, გვარი | პირადი ნომერი | ძირითადი მისამართი

ალტერნატიული მისამართი | სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ. | სამსახურის ტელ. | მობილური | ფაქსი | ელექტრონული ფოსტა *შენიშვნა-7*

ცნობათ თუ არა სარჩელს?

დიახ ☐

არა ☒

ნაწილობრივ ☐

შენიშვნა-8

მოპასუხის პოზიცია მოსარჩელის მიერ მითითებულ დავის ფაქტობრივ გარემოებებზე

შენიშვნა-9 შენიშვნა-10 შენიშვნა-11 შენიშვნა-12

პირველ ფაქტობრივ გარემოებას - ვეთანხმები

მტკიცებულება:
ა. (დანართი)

მე-2 ფაქტობრივ გარემოებას - ვეთანხმები

მტკიცებულება:
ა. (დანართი)

მე-3 ფაქტობრივ გარემოებას - ვეთანხმები

მტკიცებულება:
ა. (დანართი)

მე-4 ფაქტობრივ გარემოებას - ვეთანხმები

მტკიცებულება:
ა. (დანართი)

მე-5 ფაქტობრივ გარემოებას - ვეთანხმები

მტკიცებულება:
ა. (დანართი)

დავის დამატებითი ფაქტობრივი გარემოებები

შენიშვნა-13 შენიშვნა-14 შენიშვნა-15

1. ფაქტობრივი გარემოება

მტკიცებულება:
ა. (დანართი)

2. ფაქტობრივი გარემოება

მტკიცებულება:
ა. (დანართი)

მიგაჩნიათ თუ არა, რომ საქმის წარმოება უნდა შეწყდეს?

დიახ ☒ რის საფუძველზე?

არა ☐

შენიშვნა-16

მიგაჩნიათ თუ არა, რომ სასამართლომ სარჩელი განუხილველად უნდა დატოვოს?

დიახ ☐ რის საფუძველზე?

არა ☒

შენიშვნა-17

მიგაჩნიათ თუ არა, რომ სასამართლომ უნდა შეაჩეროს საქმის წარმოება?

დიახ ☐ რომელი საფუძვლით?

არა ☒

შენიშვნა-18

ხომ არ აპირებთ, შეგებებული სარჩელის აღძვრას?

დიახ ☐ რომელი საფუძვლით?

არა ☒

შენიშვნა-19

მოპასუხის პოზიცია სასარჩელო მოთხოვნასა და მის სამართლებრივ საფუძვლებზე

შენიშვნა-20 შენიშვნა-21 შენიშვნა-22

პირველ სასარჩელო მოთხოვნას - არ ვეთანხმები

არ ვეთანხმებით მოსარჩელის მოთხოვნას - ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 12 აპრილის 2-239 ბრძანება

შესაგებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებზე:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის (სზაკ) მე- 60 პრიმა მუხლით რეგლამენტირებულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილობის საფუძვლები. მოსარჩელე თავის სასარჩელო მოთხოვნაში უთითებს, რომ 2-239 ბრძანების გამოცემისას სამინისტროს მიერ დარღვეულ იქნა მე-60 პრიმა მუხლის პირველი და მეორე ნაწილები, რომლის თანახმად ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე ან 34-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

როგორც ვხედავთ სზაკ-ის მე-60 პრიმა მუხლი გამოყოფს აქტი ბათილობის რამდენიმე საფუძველს 1) თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს, 2) თუ არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის მოთხოვნები, 2.1)ასეთ არსებით დარღვევად ითვლება ამავე კოდექსის 32-34 მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევა აქტის გამოცემისას, ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევა ან/და კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება. როგორც ვხედავთ, სზაკ მკაცრად განსაზღვრავს აქტის ბათილობის სამართლებრივ საფუძვლებს, მოცემულ სამართლებრივ დავაში მოსარჩელე მხარე ვერ ასაბუთებს, ზემოთ ჩამოთვლილი აქტის ბათილობის რომელიმე სამართლებრივი საფუძვლის არსებობას და არასწორ შეფასებას აძლევს ფაქტებს. კერძოდ, მოსარჩელის მითითებით სამინისტროს არ უნდა გამოეყენებინა "გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" 48-ე მუხლის პირველი ნაწილი ვინაიდან იგი გამოიყენება მხოლოდ 2018 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე. აღნიშნული შეფასება მოკლებულია სამართლებრივ საფუძველს და წინააღმდეგობაში მოდის თვითონ მოსარჩელის მიერ მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებთანაც, კერძოდ როგორც საქმის მასალებით დასტურდება და მოსარჩელეც თავის პირველ ფაქტობრივ გარემოებაში უთითებს, შპს "ბუკაპი"-მ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. ქ. თბილისი, ბოჭორმის ქ. 12, 0144
ვებ-გვერდი: www.hcoj.gov.ge; ელ. ფოსტა: council@hcoj.gov.ge

მეურნეობის სამინისტროს მიმართა 2017 წლის 4 დეკემბერს (წერილი №21425) და წარმოადგინა მანგანუმის მადნის გამამდიდრებელი საწარმოს ტერიტორიაზე დამატებითი ტექნოლოგიური ხაზის მოწყობისა და ექსპლუატაციის გზშ-ის ანგარიში. შესაბამისად აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო 2017 წლის 4 დეკემბერს. აღსანიშნავია, რომ ,,გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად ეკოლოგიურ ექსპერტიზას დაქვემდებარებულ საქმიანობებთან დაკავშირებული მშენებლობა ან არსებული საწარმოო ტექნოლოგიის შეცვლა განსხვავებული ტექნოლოგიით, რაც იწვევს ექსპლუატაციის პირობების შეცვლას, ასევე განიხილებოდა, როგორც ეკოლოგიური ექსპერტიზისადმი დაქვემდებარებული საქმიანობა. შესაბამისად შპს ,,ბუკაპის" მიერ დაგეგმილი ცვლილება საჭიროებდა გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურებს.

,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" 48-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, 2018 წლის 1 იანვრამდე „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შემთხვევაში, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა 2018 წლის 1 იანვრამდე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემისთვის დადგენილი წესით. შესაბამისად, მოსარჩელეს მტკიცება, რომ სამინისტროს უნდა ეხელმძღვანელა "გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით" საამრთლებრივ საფუძველს მოკლებულია.

მოსარჩელე მხარე თავის მსჯელობას შეცდომით აფუძნებს და ამყარებს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსზე და არასწორად ახდენს მის მოშველიებას სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივ დასაბუთებაში, კერძოდ:

მოსარჩელე მიუთითებს, რომ პროექტს უნდა გაევლო "გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-8, მე-9 მუხლებით განსაზღვრული სკოპინგის პროცედურა. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მიხედვით მართალია განსაზღვრულია სკოპინგისა და სკრინინგის პროცედურები, მაგრამ აღნიშნული დათქმა ისევ და ისევ არ და ვერ გავრცელდებოდა შპს "ბუკაპის" შემთხვევაზე, ვინაიდან კოდექსის 48-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია 2018 წლის პირველ იანვრამდე დაწყებულ ადმინისტრაციულ წარმოებასთან დაკავშირებით, ისარგებლოს 2018 წლის პირველ იანვრამდე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემისთვის დადგენილი წესით და არა თვითონ გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის დათქმებით. შესაბამისად, აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით შპს „ბუკაპის" საქმიანობისთვის გარემოზე ზემოქმედების შეფასების საჭიროების დადგენის მიზნით, 2018 წლის პირველ იანვარმდე არსებული კანონმდებლობით არ იყო გათვალისწინებული, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით განსაზღვრული სკოპინგისა და სკრინინგის პროცედურების გავლა.

წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით, სამინისტროს მიერ მომზადდა შენიშვნები და გადაიგზავნა საქმიანობის განმახორციელებელთან.

ასევე უსაფუძვლოა მოსარჩელის განცხადება, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობა არ ყოფილა უზრუნველყოფილი. ,,გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის თანახმად, საჯარო განხილვის ორგანიზების განხორციელება ევალება საქმიანობის განმახორციელებელს (მოცემულ შემთხვევაში შპს "ბუკაპი"), აღნიშნული მოთხოვნა დაცული იქნა შპს "ბუკაპის" მიერ და მოხდა დაინტერესებული საზოგადოების ინფორმირება და მოეწყო საჯარო განხილვა კანონმდებლობით დადგენილი წესით 2018 წლის 23 იანვარს, რასაც თვითონ მოსარჩელე მხარეც აღნიშნავს თავის სარჩელში. საჯარო განხილვაზე სამინისტროს წარმომადგენელმა, საქმიანობის განმახორციელებელსა და დაინტერესებულ საზოგადოებას წარუდგინა პროექტთან დაკავშირებული შენიშვნები და წინადადებები.

აქვე აღვნიშნავთ, რომ შპს „ბუკაპმა" გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, სამინისტროში წარმოადგინა ზემოაღნიშნული პროექტის გზშ-ის ანგარიში 2018 წლის 27

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. ქ. თბილისი, ბოჭორმის ქ. 12, 0144
ვებ-გვერდი: www.hcoj.gov.ge; ელ. ფოსტა: council@hcoj.gov.ge

თებერვალს, რაზეც ადმინისტრაციული წარმოება „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" 48-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, განხორციელდა გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემისთვის დადგენილი წესით. კერძოდ, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 9 მარტს N 2-144 ბრძანების შესაბამისად ექსპერტიზის ჩატარების მიზნით შეიქმნა საექსპერტო კომისია. საექსპერტო კომისიის მიერ მომზადებულ იქნა ექსპერტიზის დასკვნა, რომლის საფუძველზეც საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 12 აპრილს N2-239 ბრძანებით გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება და შპს „ბუკაპს" მიენიჭა საქმიანობის განხორციელების უფლება მანგანუმის მადნის გამამდიდრებელი საწარმოს ექსპლუატაციის პირობების შეცვლისა და წამადობის გაზრდაზე (ახალი ტექნოლოგიური ხაზის მოწყობის). ზემოაღნიშნული განმარტებების თანახმად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოებისას დაცული იქნა „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი" და წარმოების პროცედურები განხორციელდა ამავე კოდექსის 48-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 12 აპრილის 2-239 ბრძანების გამოცემისას არ დარღვეულა კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურები და არ არსებობს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მე-60 პრიმა მუხლით გათვალისწინებული ბათილობის არცერთი საფუძველი. ამასთან მოსარჩელე მხარე თავისი სასარჩელო მოთხოვნის გასამყარებლად იყენებს არარელევანტურ სამართლებრივ აქტს და შესაბამისად, მისი მსჯელობა მოკლებულია სამართლებრივ საფუძველს და არ უნდა დაკმაყოფილდეს

მე-2 სასარჩელო მოთხოვნას - ვეთანხმები

შესაგებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებზე:

მე-3 სასარჩელო მოთხოვნას - ვეთანხმები

შესაგებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებზე:

მტკიცებითი შუამდგომლობები

შენიშვნა-23

მოწმე ფაქტობრივი გარემოება(ები)

ექსპერტი ფაქტობრივი გარემოება(ები)

სპეციალისტი ფაქტობრივი გარემოება(ები)

შენიშვნა-24

შუამდგომლობები მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის მოთხოვნით.

1.

შენიშვნა-25

შუამდგომლობები, საპატიო მიზეზის გამო, მტკიცებულებათა წარმოდგენის გადავადების თაობაზე.

1.

შენიშვნა-26

შუამდგომლობები მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე.

1.

შენიშვნა-27

სხვა სახის შუამდგომლობები

შენიშვნა-28

1. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

2. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

გაქვთ თუ არა აცილება მოსამართლის მიმართ?

დიახ ☐ რის საფუძველზე?

არა ☐

შენიშვნა-29

დაგჭირდებათ თუ არა თქვენ ან/და დასაბარებელ პირს თარჯიმანი საქმის ზეპირი მოსმენისას?

დიახ ☐ ვის? რომელი ენის მცოდნე?

არა ☐

თქვენს ინტერესში შედის საქმის მორიგებით დამთავრება. მორიგება წარმოადგენს დავის გადაწყვეტის ყველაზე სწრაფ, ეფექტურ და იაფ საშუალებას. ამასთან, გეძლევათ შესაძლებლობა, თავად განსაზღვროთ დავის შედეგი, ასევე, აღმოფხვრათ კონფლიქტი ერთმანეთს შორის.
სასამართლო სხდომამდე მხარეთა მორიგების შემთხვევაში მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო სასამართლო სხდომაზე მორიგების შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება.
მოურიგებლობის ნეგატიური შედეგებია:
» რთულადგანჭვრეტადი შედეგი;
» ხანგრძლივი სასამართლო პროცესი;
» სასამართლო ხარჯები;
» სასამართლოსგარეშე ხარჯები;
» ყოველდღიური ხარჯები.

თანახმა ხართ თუ არა, რომ საქმე დაამთავროთ მორიგებით?

დიახ ☐ მორიგების პირობები:

არა ☐ რადგან

შენიშვნა-30

თანდართული საბუთების ნუსხა

შენიშვნა-31 შენიშვნა-32

დანართი 1: "ნინო თანდილაშვილისათვის სასამართლო ორგანოებში წარმომადგენლობის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ" საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 22 მარტის №2-175 ბრძანება. - 2 ფურცელი

დანართი 2: 1 DVD დისკი.

ფურცლების საერთო რაოდენობა: 11

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე?

დიახ ☐

არა ☐ რადგან

შენიშვნა-33

რა დრო დაგჭირდებათ მთავარ სხდომაზე თქვენი პოზიციის დასაბუთებისათვის?

15 წუთი რადგან

რამდენ სხდომაში მიგაჩნიათ გონივრულად დავის განხილვის დასრულება?

ერ სხდომაში რადგან

შენიშვნა-34

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს დაჩქარებული წესით?

დიახ ☐

არა ☐ რადგან

შენიშვნა-35

თქვენ მიერ მითითებულ რომელ მისამართზე ისურვებდით სასამართლო შეტყობინების მიღებას?

ძირითად მისამართზე დროის ოპტიმალური შუალედი: 00:00 - 10:00

თანახმა ხართ თუ არა, რომ წერილობითი მასალები მიიღოთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით?

დიახ ☐

არა ☐ რადგან

შენიშვნა-36

გთხოვთ, გაითვალისწინოთ!
სასამართლოში საქმის განხილვა მიმდინარეობს თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე – თქვენ გეკისრებათ როგორც ფაქტების მითითების, ასევე მათი დამტკიცების ტვირთი. საქმის საბოლოო შედეგი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ დაასაბუთებთ თქვენს პოზიციას და რომელი მტკიცებულებით დაადასტურებთ მათ ანუ წარმატებას განაპირობებს თქვენი პროფესიონალიზმი და თქვენს მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები.

ჩემი (ჩემი მარწმუნებლის) ცოდნის, ინფორმირებულობისა და რწმენის საუკეთესო გამოვლინებით, ამ ფორმაში ფაქტები მივუთითე სრული სახით და ისინი შეესაბამება სინამდვილეს. ვაცნობიერებ, თუ რა შედეგთან არის დაკავშირებული მონაცემების არასწორი ან/და არასრული მითითება.

ნინო თანდილაშვილი 15/10/2018 წ.

ხელმოწერა ხელმომწერის სახელი, გვარი შევსების თარიღი

შევსებული ფორმა შეგიძლიათ ჩააბაროთ სასამართლოს კანცელარიის (მისაღების) მოხელეს ან გამოაგზავნოთ ფოსტის მეშვეობით. სასამართლოს კანცელარია (მისაღები) მუშაობს 09:30-დან 18:00 საათამდე, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით.